ოქმი N2

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მეხუთე მოწვევის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 25 თებერვალი

საკრებულოს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 36

საკრებულოს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 36

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 32 წევრმა (რეგისტრაციის ფურცელი ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე წევრთა რაოდენობა - 31 (დამსწრეთა სია ოქმს თან ერთვის)

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე საზოგადოების წარმომადგენელთა სია ოქმს თან ერთვის

საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა ლევან ქავთარაძე - საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგის გაცნობამდე სხდომის თავმჯდომარემ ისაუბრა უკრაინაში მიმდინარე მოვლენებზე, მან საკრებულოს წევრებთან და მერიის წარმომადგენლებთან ერთად სოლიდარობა გამოუცხადა უკრაინელ ხალხს და წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს უკრაინის თავისუფლებისთვის უთანასწორო და უსამართლო ბრძოლაში დაღუპულ გმირებს.

დღის წესრიგი:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტის განხილვა

(მომხსენებელი: დ. ბუკია - ხობის მუნიციპალიტეტის მერი;
თანამომხსენებელი: ა. ვარდია - ხობის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური
განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი)

მოისმინეს: ა. ვარდია - მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო განმარტებითი ბარათი და დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ"

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკრებულოს წევრების მხრიდან რაიმე სახის მოსაზრება არ გამოთქმულა, რის შემდგომაც სთხოვა საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ვ. ქანთარია) წარმოედგინა კომისიის დასკვნა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

ვ. ქანთარია - გამომსვლელმა საკრებულოს წევრებს გააცნო კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საკრებულომ უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, არაუგვიანეს მიმდინარე წლის თებერვლისა. კანონის ამ მოთხოვნის შესაბამისად მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მომზადდა წარმოდგენილი დადგენილების პროექტი, რომლის თანახმად, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი იგივე რჩება, რაც 2021 წელს იყო განსაზღვრული და არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი ქალაქ ხობის ტერიტორიაზე შეადგენს 12.38 ლარს, სოფლებში - 3.71 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში - 3.1 ლარს, დასახლებათა შორის არეალებში გამავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) - 6.19 ლარს. კომისიამ საკითხის განხილვისას აღმოაჩინა, რომ დადგენილების პროექტში დაშვებულია მექანიკური შეცდომა, დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ცხადდება „ხობის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 თებერვლის N3 დადგენილება, ნაცვლად „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 25 თებერვლის N3 დადგენილებისა, რაც უნდა ჩასწორდეს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით დამტკიცება საკრებულოს სხდომაზე.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს

კენჭისყრას ესწრებოდა საკრებულოს 31 წევრი

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 31, წინააღმდეგი – 0

(კენჭისყრას არ ესწრებოდა: მ. ჩარტია)

გადაწყვეტილება მიღებულია

(დადგენილება N3 ოქმს თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის კენჭისყრის დასრულების შემდგომ, სიტყვა ითხოვა საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ (ი. ჯიმკარიანი) და ისაუბრა მუნიციპალიტეტის სოფლებში მძიმეწონიანი სატვირთო ავტომანქანების მოძრაობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ყველანაირი კანონდარღვევით მოძრაობენ სოფლის გზებზე, რის გამოც სოფლის გზების უმეტესობა ამორტიზებულია და უჭირთ მსუბუქ ავტომობილებს გადაადგილება და მიმართა მუნიციპალიტეტის მერს და საკრებულოს თავმჯდომარეს უმოკლეს დროში მოეგვარებინათ არსებული პრობლემა.

ლ. ქავთარაძე, გ. ქაჯაია - გამომსვლელებმა განაცხადეს, რომ გზაზე სატვირთო ავტომანანებს გადაადგილებას ვერ აუკრძალავენ, მაგრამ ერთად უნდა გააკონტროლონ და აღკვეთონ არსებული კანონდარღვევა.

ზ. შამათავა - საკრებულოს წევრი - გამომსვლელმა განაცხადა, რომ სატვირთო ავტომობილების ზედმეტი წონის კონტროლითვის აუცილებელია გზებზე განთავსდეს შესაბამისი სასწორები.

დ. ბუკია - მუნიციპალიტეტის მერი - დაეთანხმა გამომსვლელებს და აღნიშნა, რომ მართლაც არსებობს აღნიშნული პრობლემა გზებზე, მერიის შესაბამისი სამსახური, კომპეტენციის

ფარგლებში აკონტროლებს, ასევე მუშაობენ შესაბამის უწყებებთან, რათა გზებზე განთავსდეს წონის მარეგულირებელი საგზაო ნიშნები, ასევე იგეგმება სასწორის მოწყობა გზებზე.

ლ. ადანია - გამომსვლელმა ისაუბრა, ზემო ქვალონის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ გზაზე, რომელიც ამორტიზებულია და მსუბუქ ავტომანქანებს უჭირთ გადაადგილება. აღნიშნა, რომ ერთ მხარეს შესასვლელი გზა მართალია გაკეთდა, მაგრამ სოფელში მეორე მხრიდან შესასვლელი სამინელ მდგომარეობაში იყო და მიმართა მუნიციპალიტეტის მერს მიმდინარე წელს იგეგმებოდა თუ არა აღნიშნული გზის რეაბილიტაცია.

დ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ მუნიციპალიტეტში 14 მილიონის პროექტია მომზადებული და ეტაპობრივად მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ყველა პრობლემა მოგვარდება.

ნ. შუშანია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ ქალაქში მაღალსართულიანი კორპუსის მიმდებარედ დგას ამწე კრანი, რომელიც გადახრილ მდგომარეობაშია და საფრთხის შემცველია მოქალაქეებისთვის, იქნებ მეპატრონესთან შეთანხმებით, მოგვარებულიყო ეს პრობლემა.

დ. ბუკია - გამომსვლელმა განაცხადა, რომ აღნიშნულ საკითხთან და მსგავსი ხასიათის ქალაქში არსებულ პრობლემებზე მიმდინარეობს მუშაობა. მისი განმარტებით, უახლოესი პერიოდისთვის ქალაქში განახორციელებენ კერძო თუ სახელმწიფო მფლობელობაში არსებულ, იმ შენობა-ნაგებობების დემონტაჟს ან ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია, რომლებიც ქალაქის იერსახეს ამახინჯებენ.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდგომ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევან ქავთარაძე

მეხუთე მოწვევის საკრებულოს 2022 წლის 25 თებერვლის სხდომაზე დამსწრე

საკრებულოს წევრთა სია

1. ლევან ქავთარაძე
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა ქაჯაია
4. მედეა თათარიშვილი
5. დოდო გაბუნია
6. ვლადიმერ ქანთარია
7. ბექა მამაცაშვილი
8. ლევანი ლიპარტია
9. აკაკი მალანია
10. ია ჯიშკარიანი
11. მალხაზი იოსავა
12. მზია ლემონჯარია
13. ზურაბი შამათავა
14. ირაკლი ზაქარაია
15. ჯანსუღი ჯიშკარიანი
16. ფრიდონი კუკავა
17. ნუგზარი მუშანია
18. გივი ლატარია
19. ლევანი ლაშხია
20. აკაკი ხურცილავა
21. სერგო ბერაია
22. გიორგი გვასალია
23. ბადრი რიჟამაძე
24. ვეფხვია ფოცხორაია
25. ფელიქსი წურწუმია
26. მოგელი ხუხია
27. თამარი ქირია
28. ნინო ბოკუჩავა
29. ფრიდონ შონია
30. ლელა ადანაია
31. გურიელ ქარდავა